თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 19 ივლისი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

თენგიზ თოფურიძე	– ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.
ზურაბ გაბიძაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ზურაბ ზამბახიძე	– ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.
კახაბერ დალაქიშვილი	- ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.
გელა მშვენიერაძე	- ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (17 ობიექტი, სავარაუდო ღირებულება 8000 ლარი) შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ზურაბ ზამბახიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (17 ობიექტი, სავარაუდო ღირებულება 8000 ლარი) შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: თენგიზ თოფურიძემ.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.

კომისიის წევრმა: კახაბერ დალაქიშვილმა და გელა მშვენიერაძემ.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო

შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2013 წლის 24 ივლისს 12:30 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2013 წლის 24 ივლისის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: თენგიზ თოფურიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

ზურაბ ზამბახიძე

კახაბერ დალაქიშვილი

გელა მშვენიერაძე

ირაკლი გიორგაძე